გამოცემა ზ. კენჭოშვილისა.

2674
87-3
ქ. ზ. ნ.-ქ. ... ქუთაისის ... ...

Дозв. цензурою Тифлисъ 4 Мая 1906 г.

ქუდი მოიხადეთ — კომმუნის წამებულებზე გე-
ლაპარაკებით!

რამდენი იყვნენ ისინი? — მათი დათვლა არვის
ძალუძს!

ამაზე თქვენ შეეკითხეთ პარიზის ქვაფენილს,
ლაბოს კაზარმების ყუმბარებს, ლიუქსემბურგის ბაღს,
შამონის სიმაღლეებს, შატლეს, პერ-ლაშეზის საფა-
რეების გასისხლიანებულ ფილაქნებს, სასაფლაოებად
გადაქცეულ მწვანე ბაღებს, სადაც ახალ მიწა-მიყ-
რილ საფლავებიდან ღამ-ღამობით მომაკვდავთა
ხრიალი ისმოდა.

სისხლის ღვარი დიოდა. მდინარე სენა წითლათ
შეღებილიყო. დახოცილთა გვამები ერთმანეთზე
შეხორებული ეყარა ქუჩებში რამდენიმე ათასი
ოთხ-კუთხედ საკენის სივრცეზე. ვერსალის ზარ-
ბაზნების თვლები მთლათ გათიეხნილი იყო ტალა-
ხივით გამხმარი სისხლით და ადამიანის ტვინის ნა-
კუწებით. ხუთმეტ დღეს იყო განუკითხავი ჟლეტა.
პარიზი უზარმაზარ საყასბოთ გადაიქცა.

როცა ყოველივე გათავდა, დიდებულ ქალაქს

აკლდა ასი ათასი-მოკლული, ტყვეთ წაყვანილი, გაჭცეული. ხთგიერთი ამქრებიდან ერთი კაციც აღარ გადარჩენილა. ამას, ამოწმებს თვით მუნიციპალური საბჭო ერთ ოფიციალურ ანგარიშში.

ჰეშმარიტათ, ნადიმი იყო ეს საფრანგეთის ბურჟუაზიისა. ჩვენს დიდ გენერლებს დღესაც კი პირზე ნერწყვი მოსდით ერთ მის მოგონებაზე.

ტიერი—ეს საზიზღარი ქონდრის კაცი, თითქოს გაყმაწვილდა, რა რომ ამ ხალხის სისხლით სავსე ვანაში იბანა.

არაფერი არ დაუზოგავთ კაპიტალისტთა ამ ორგიისათვის. საუცხოვო ნადიმი იყო. ჟლეტდენ დედაკაცებს, ახალ-გაზდებს და მოხუცებს, დედებს ბავშვებითურთ, ბავშვებს უპატრონოთ, და კიდევ ამაზე უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ხოცდენ ფიარალოებს,—მოხუცთ, ავადმყოფთ, მომაკვდავთ, ბოსპიტლებში ჭრილობა შეხვეულთ შტიკებზე აგებდენ და სარკმლებიდან სისხლის მორევში ისროდენ, როგორც ლეკვებს, რომლებიც წკავიან და ყმუიან.

დიახ, ეს საუცხოვო რამ იყო!

ენსვავსი ჟურნალისტები და ზნეგაფუჭებული ქალები დარბოდენ ბაკვდარი გვამების სანახავათ; იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ტურფა ქალები ქალაქის ფეხზე ჩრიდენ ჯერ ისევ ცოცხალი ხალხის ლია ჭრილობებს.

ჟიულ ფავრს, ამ ყალბი ქალალდების ოსტატს, მილერის სისხლში მთლათ შეღებილს, განცვიფრებაში მოყავდა ქვეყანა თავისი თავის გააფთრებულ ჭკვიდან შეშლილის სანახაობით. მონარქიულნა ევროპამ, რომელმაც გაქცეულთა გაცემაზე ულარი უთხრა, შეარცხვინა იგი.

მარკიზ გალიფე ჩეხდა იმიტომ, რომ წამხდარი კაცი იყო.

— „ჩემს ქუჩაზე დღესასწაული დადგა“: ამბობდა ხოლმე ის.

მას ეგონა უსათუოთ, რომ ქმრის სიავკაცე დაჩრდილავს და დაავიწყებინებს ხალხს ცოლის გარყვნილებას, რომელიც ყოფილ იმპერატრიცა ევგენიას მეტოქე და პირის-ფარეში იყო.

ვინუა, სიზი, მაკ-მაგონები და სხვანი იმპერიის გენერლები, უბრუნებდენ უიარაღო ხალხს თოფის სროლის სახით მუჯლუგუნებს, რომელიც მათ ძლევა-მოსილ პრუსიიდან მიიღეს კეფაში, რადგანაც იგინი მათი სხეულის სხვა ნაწილს ვერა ხედავდენ და ამიტომ არც შეეძლოთ სხვა ადგილას გაერტყათ.

ალექსანდრე დიუმა---შვილი ზნეწამხდარ ქალების მომღერალი, დამცველი საკუთრების, ბურჟუაზიული ოჯახისა, იმ ოჯახის, რომელიც სიმრუშესა და საროსკიპო სახლზეა დამყარებული. აცხა-

დებდა, რომ „კომმუნარის დედალი მხოლოთ მაშინ ვავს ქალს, როცა იგი ყელ გამოჭრილიაო“.

ვრინიო, „საზოგადო სიკეთის“ მთავარი რედაქტორი და ტიერის საყვარელი მეგობარი იკვეხიდა, რომ მან მოკლა საკუთარი ხელით ოცდა ათი ფედერალისტი, დატყვევებულთა, ბორკილ შეყრილთა, ან დაჭრილთა რიცხვიდან, რასაკვირველია.

ეროვნულმა კრებამ, რომელიც, თითქო, იწოდა მოუთმენლობისაგან, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოსერილიყო ამ სისხლში, სამადლობელი ადრესს უგზავნიდა ვერსალის ჯარს და ერთხმათ, გარდა ერთი წევრისა, აცხადებდა, რომ ხალხის ჯალათები „სამშობლოს მხსნელნი არიანო“.

„Paris journal“-ში 1871 წ. 5 ივლისს დაბეჭდილი იყო დიალოგი:

—„ბავშვებო, რა უფრო გენატრებათ სანახავათ: ნანგრევები, თუ მოკლულთა გვამები?“.

—„ოჰ, ერთიც და მეორეც, დედილო, ერთიც და მეორეც!“

—„მაშ, აი რა ვქნათ, ჯერ მკვდრების სანახავათ წავიდეთ... მხოლოთ საუზმეზე კი—ბევრს ნურას გამოუდგებით“.

—„არა უშავს რა, დედილო, ჩვენ თითო ნაჭერ პურს თანაც ვიგულვებთ!“

—„ძალიან კარგი, და თუ მეტათ არ დავიღალე, დესსერტის მაგიერ ცეცხლ-წაკიდებულ შენობების საყურებლათ წავიდეთ“.

ბავშვებმა სიხარულით ტაში შემოჰკრეს.

რა საუცხოო სურათია ბურჟუაზიისა, მისგანვე დახატული!

Ოჰ, ქალებო! გვამები, რომლების სანახავათაც თქვენ მიხვალთ, ეს გვამებია იმ ხალხისა, რომლის შრომაც ქმნის თქვენს ფუფუნებას და რომელიც ამოჟლიტეს იმისთვის, რომ მან ველარ შესძლო იმის მოთმენა, რომ მისი საკუთარი ქალიშვილები სიმშილის და პროსტიტუციის მსხვერპლნი უნდა გამხდარიყვენ, ან და თავისი თავი საკუთარი ხელით უნდა მოეკლათ.

* * *

მთელი ხალხი მომწყვდეული იყო თავისივე ქალაქის კედლებში. გამოსავალი არსაით ქონდა, რადგანაც კარებს მოკავშირეთა რაზმები—ვერსალელები და პრუსიელები დარაჯობდენ.

და, აი, ამ ხალხს გამძვინვარებული რეაქცია უყვირის: რაც უნდა ქნა—შენ მაინც დაღუპული ხარ! თუ შეგიპყრეს იარაღით ხელში, შენ მხოლოთ **სიკვდილი** მოგელის! თუ იარაღს დაყრი—მაინც **სიკვდილი**! თუ დაეცემი და ითხოვ შებრალებას—

სიკვდილი! საითაც უნდა მიბრუნდე, საითაც უნდა გაიხედო, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, მაღლა, ძირს—**სიკვდილი**! შენ არამ თუ მარტო კანონის გარეშე ხარ,—კაცობრიობის გარეშე ხარ, ვერც ხნოვანება, ვერც სქესი ვერ გიხსნის ვერც შენ და ვერც შენიანებს. შენ მოგკლავენ, მაგრამ უმალ შენ დასტკბები შენი ცოლის, დედის, ქალების, ვაჟების, ძუძუმწოვარ ბავშვების სიკვდილის ტანჯვა-ვაების სანახაობით.

სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!

გუშინ პრუსიელს ეალერსებოდენ: ტყვეთ მყოფს მას კვებავდენ და ყოველგვარ ყურადღებას აძლევდენ; დაჭრილს ნაზი მზრუნველობით ექიმობდენ და ესეც უნდა მოქცეულიყვნენ—ეს იყო ადამიანი, თუმცა ამ შემთხვევაში ის წარმოადგენდა მხოლოთ უდიერ ძალას, რომელიც დინასტიურ სიძულვილს და პატივისმოყვარეობას ემსახურებოდა. ქუდები ძირს ბისმარკის მიერ წასისინებულ მრისხანე ქოფაკის წინაშე. ჟუილ-ფავრი წავა ამ დიდ კაცის ფეხთ წინაშე ცრემლების საფრქვევათ. ტროშიუ და ტიერი ბედნიერნი იქნებიან, თუ მათ ელირსებათ ომის შემდეგ ხელი ჩამოართვან მას, რომელმაც გასრისა რევოლიუცია საფრანგეთში. შენ კი, საფრანგეთის მოქალაქევ, უფლებისა და სიმართლის დაცვისათვის ამდგარო, გუშინ გამათახსირებელ ომიდან პარიზის დამცველო, როცა ვილჰელმი

ეპოტინებოდა იმპერატორის გვირგვინს, რომელიც ბონაპარტს სედანის ტალახში ჩაუვარდა, შენ, რომელსაც გსურს დაამყარო ხალხთა შორის ძმობა და მთელი ქვეყნის სოლიდარობა, შენ, რომელიც ოცნებობ საფრანგეთის და მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზე, შენ, რომელიც ფიქრობ დაამყარო შენი სამშობლოს სიდიადე ისეთ საფუძვლებზე, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველყონ მთელი მსოფლიოს ბედნიერება, შენ ხარ უკუგდებული, შენ ხარ საზიზღარი!

შენთვის არ სუფევს სამართალი.

შენი ხელი იწვევს ზიზღს და თუ შენ გაუწვდიდი მას თანაგრძნობის სათხოვნელათ, წაგეკიდენ და პირშიც მოგაფურთხებდენ.

სიკვდილი შენ, აჯანყებულო! სიკვდილი შენ, სოციალისტო! სიკვდილი შენ კომუნარო! სიკვდილი შენ, შენს ცოლს, შენს ბალღებს!

სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!

მაგრამ ვინ იყვნენ ესენი, რომელთაც ეპატონებულ კლასების წითელ-ყანიან წარმომადგენელნი ასეთ შეუფერებელ სიხარულის ყიჟინით აკრავდენ სამარცხვინო ბოძებზე? ვინ იყვენ ესენი, რომელთაც ბურჟუაზია, თითქო ველურ კაცის ბეჭა-

მელვების მსგავსათ ხოცდა ისეთი გამხეცებით, რომ-ლის მსგავსი დღემდის ჯერ არ მომხდარა.

ბოლოთ რამდენიმე სახელი მოჩანს ამ სისხლის ტალღების ზედა პირზე; მათ სდევნის რეაქციონურ ვნებათა, ეგო სტურ ინსტინქტთა და შურის-ძიების შიშის ქარიშხალი.

ჩავუკვირდეთ ამ ხალხს, რადგან მათი მეოხებით შეიძლება ვსაჯოთ იმ დანარჩენ აუარებელ უსახელო ხალხზე, რომელიც ისტორიის შეკითხვაზე უპასუხებს:

„ჩემი სახელია—ხალხი!“

ბი. პირველ ყოვლისა

დელეკლიუზი,

მოხუცი, გ თეთრებული თავით, გამხდარი, ენერგიული სახით და ამაყი გამომეტყველებით: მაგალითი პატიოსნებისა და უანგარობისა, იაკობინელი. ითქო კონვენტის დროის ხალხის მოდელზე გამოკვრილი, რომლის უკანასკნელი, მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერი წარმომადგენელი იყო იგი ჩვენ დროს. იგი მთელ თავის სიცოცხლეში განუწყვეტლივ იბრძოდა მისთვის, რასაც იგი რაცხდა სიმართლეთ და ჭეშმარიტებათ.

ვერც დამარცხებამ, ვერც დევნამ—იმპერიის

დროს ის კაიენნაში გაგზავნეს*).—ვერც ფიზიკურმა და ზნეობრივმა ტანჯვა-ვაებამ, ვერც ხნოვანებამ, —ვერაფერმა ვერ შესძლო მისი რწმენის და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის შესუსტება.

რომ უკეთესი სამსახური გაეწია რევოლიუციისთვის, მან უარყო ოჯახური ცხოვრება, ცოლი არ შეირთო და ცხოვრებდა დედასთან და დასთან ერთად.

მას არას დროს ჩვეულებათ არ ქონია არც ყოყმანი, არც დასუსტება და ასე გასინჯეთ, რომ დაღალვაც კი არა. იგი ცხოვრებდა და მოკვდა უშიშრათ და უეგბროთ.

მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერი იყო მისი ბოლო.

იგი გაგზავნეს ჯერ დეპუტატათ ბორდოში, შემდეგ კომმუნაში ამოარჩიეს და შეუდრეკლათ გამოცხადდა იქ, სადაც მას ხალხი იწვევდა.

მაშინ, როცა ის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც გაჟღენთილი იყო ერთიანობის იდეებით, მთავრობის დიქტატურის აზრებით, ღრმათ წამდა სახელმწიფოს ძალა და სოციალურ კითხვებს ნაკლებ იცნობდა, მეტათ ჩქარა უნდა შეენიშნა მას, რომ საქმე, რომელსაც იგი თავს წირავდა—კომ-

---

*) ე. ი. კატორგაში. მთარგმ.

მუნის საქმე—ძირიანათ ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთ მის ძვირფასს რწმენებს.

მაგრამ დელეკლიუზი თავის საკუთარ რწმენებზე მაღლა რევოლიუციას აყენებდა. ამ რკინის ადამიანში არ იყო იოტის ოდენა დოქტრინერობა—იგი იყო ფანატიკოსი და არა დოლმატიკი. ის არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელნიც რევოლიუციას ერთს ფორმულაში ათავსებენ და გაიძახიან: „ჩემ ეკკლესიის გარეშე ხსნა არსად არისო“!

აი, რატომ იყო, რომ თუმც ის უწინ არ ემხრობოდა კომმუნარების ყველა მისწრაფებებს: თუმც ზოგიერთ ამ მისწრაფებათაგანი ან პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა იმ პოლიტიკურ რწმენებს, რომლებსაც დელეკლიუზმა მთელი სიცოცხლე შესწირა, ან არა და, ეს მისწრაფებანი საკითხების ახალი მხარეების გამოაშკარავებით ბადავდენ ეჭვსა და გაურკვევლობას მის თავში, რომელიც დაჩვეული იყო სულ სხვაგვარ წარმოდგენებს,—მარა მაინც სიმართლე უნდა ვთქვათ: მან ნათლათ შეიგნო კომმუნის პროგრამმა, იგი შეეთანხმა მას და მიიღო ყველა მისი დასკვნები მთელი მათის ძლიერებით.

მისი ორგანიული, შეზრდილი სიმპატიები არ იზიდავდენ მას კომმუნისაკენ, მაგრამ იქ იყო ხალხი და იქ იყო მისი ნებაც, და დელეკლიუზმაც სტოიკური სიმტკიცით მოიხარა ქედი მის წინაშე.

დელეკლიუზთან ერთი ადგილი უჭირავს ისეთსავე დიდებულს, თუმცა სრულებით მისი მოწინააღმდეგე

ვ ა რ ლ ე ნ ს,

რომელიც იყო შვილი ხალხისა და საკუთარ ფიქრების ადამიანი. ის დაიბადა 1839 წ. სენის და მარნის დეპარტამენტის ღარიბი გლეხის ოჯახში. მეკამეტე თუ მეთოთხმეტე წელს ის მივიდა პარიზში და აქ ერთ წიგნის ყდის დამკაზმელს შეგირდათ მიებარა.

ვაშინ მან წერაკითხვაც არ იცოდა, მაგრამ მას ისეთი ენერგია ჰქონდა, რომ შესძლო თავის თავათ განვითარებულიყო, და რა წამს ქარხანაში თავისუფალ დროს ხელთ იგდებდა, სულ თავის გონებრივ განათლებას ანდომებდა.

დელეკლიუზი, კაცი ბურჟუაზიული ჩამოშავლობისა, იაკობინურათ აღზრდილი, წარმოადგენდა ძველი რევოლიუციონერის ტიპს, რომელიც სოციალიზმს იმიტომ მიეკვრო, რომ იგი გულწრფელათ ეესახურებოდა ხალხის საქმეს, სამართლიანობას.

ვარლენი კი, პირიქით—ახალი დროის რევოლიუციის განხორციელებაა. ის მთლათ მებრძოლ სოციალიზმს ეკუთვნის და მის წარმომადგენელთა

შორის ვარლენის სახე მუდამ ბრწყინვალე, კეთილ-შობილი, გულის ამაძგერებელი დარჩება.

იგი შეუდგა თავის რევოლიუციონურ მუშაობას, როგორც მოთავე წიგნის დამკაზმავ მუშათა საზოგადოებისა. შემდეგ მან დააფუძნა პირველი სოციალისტური სამზარეულოები პარიზში.

და ბოლოს, იგი შეიქნა ერთი უპირველესი წევრი, დაუღალავი აგიტატორი და საუკეთესო ბოლვაწე ინტერნაციონალისა საფრანგეთში.

ეხლაც ახსოვთ მისი ამაყი და თამამი ყოფაქცევა, როცა ნაპოლეონ მესამემ, რაკი დარწმუნდა, რომ მას არ ძალუძს არც მოხიბლვა და არც მოტყუება, არც ინტერნაციონალის ჩამოგდება, გადასწყვიტა მასთან ბრძოლა მის მოსასპობათ.

პირველად მე ვარლენი „მარსელიეზის" რედაქციაში გავიცანი.

არას დროს არ დამავიწყდება მის ჭაბუკი მშვენიერი სახე, რომელიც უკვე თეთრი თმით იყო დაფარული, ვერ დავივიწყებ მისი შავი თვალების ღრმა გამომეტყველებას, მის გულ—ჩათხრობილ და სწორ ხმას და ღირსებით სავსე მის მიხვრა-მოხვრას.

მას არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და არას დროს მოთმინებიდან არ გამოდიოდა. მასში შეერთებული იყო გმირის გრძელ-სულოვნება და მოაზრის მელანხოლია.

ვარლენის როლი კომმუნაში ყველასთვის ცნობილია.

ეს იქ ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს აკეთებდა, განსაკუთრებით ის ჟურდთან ერთათ ფინანსთა ადმინისტრაციაში მუშაობდა. მაგრამ შემდეგში ინტენდანტობაზე გადავიდა, სადაც მას საკუთარით შეეძლო მოეხმარა თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

ვერსალელები რომ პარიზში შევიდნენ, იკი უკანასკნელ ღონის-ძიებამდე გმირულად იბრძოდა, გათავებისას კი ის კომმუნის დამმარცხებლებმა ტყვეთ წაიყვანეს.

უკან ხელებ გაკრულს, ტალახით, ფუტთხით და სისხლით შელესილს იმას ორ საათზე მეტს მონმარტრის ქუჩაზე დაატარებდენ; გარს ეხვეოდა სულ-მდაბალი ბრბო, რომელიც მას მხეცურად სცემდა და ლანძღავდა.—ამით ჟურდათ მტრების დამატკბობელი სიმხეცით მისი სიკვდილის წინამორბედი აგონია გაეგრძელებინათ.

მაკრამ ხანგრძლივმა წამებამაც ვერ შესძლო მედგარი ბუნების შერყევა.

მის სახეზე სრულებით არ იხატებოდა მოუთმენლობა, რისხვა, ან სისუსტე,—ის გაფითრებული და წყნარი, სიტყვა წარმოუთქმელათ, დინჯად, ავლებდა თვალს თავის ჯალათებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ტყვიებმა შესწყვიტეს მისი ტანჯვა-წამება.

ის იმდენათ დიადი იყო თავის უშიშროებით, რომ მისმა მტრებმა და ჯალათებმაც კი ვერ შესძლეს ეს უარეყოთ.

აი, ამ დროის ერთი რეაქციონურ ჟურნალიდგან მთელათ ამოღებული ამბავი მისი სიკვდილის შესახებ; „ლაფაიეტის ქუჩაში დატყვევებული ვარლენი, მონმარტრისკენ წაიყვანეს.

„ხალხის გროვა თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა, ასე რომ დიდი გაჭირვებით მონმარტრის სიმაღლეთა ძირს მიაღწიეს. აქ ტყვე წარუდგინეს რომელიღაც გენერალს, რომლის სახელიც მე აღარ მახსოვს. მოროგი ოფიცერი მიუახლოვდა მას, რაღაც წასჩურჩულა და მანაც პასუხად ეს სიტყვები წარმოსთქვა: „იქ, ამ კედლის უკან“.

„ამ ოთხი სიტყვის გარდა სხვა ვერაფერი გავარჩიე მათს ლაპარაკში და თუმცა მათს აზრში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც მინდოდა მენახა ბოლომდის სიკოცხლის უკანასკნელი აქტი ერთ ამ საშინელ დრამის შემქნელთაგანისა. მაგრამ საზოგადოების შურისძიებამ სხვანაირად გადასწყვიტა.

„როდესაც გასამართლებული დანიშნულ ადგილზე მიიყვანეს, მოისმა ვიღაცას ხმა, რომელსაც

მაშინვე სხვაც მრავალი აყვა: „ძლიერ ადრეა! კიდევ გავატაროთ ეგ“!..

„სევდიანი პროცესსია ხელახლა დაიძრა, მივიდენ როზეს ქუჩაზე, მარა მასზე მოთავსებულმა მთავარმა შტაბმა პროტესტი განაცხადა დასჯის წინააღმდეგ“.

„ამ აუარებელი ბრბოს თანხლებით, რომელიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო იზრდებოდა, პროცესსიას ხელახლა მონმანტრისკენ დაბრუნება მოუხდა“.

„სურათი სულ მეტათ და მეტათ უბედურების მომასწავებელი ხდებოდა. ამ კაცმა, თუმცა თავიდანვე იცოდა რა ბედიც მოელოდა, მაგრამ ის ისეთის სითამამით და მედგარი ნაბიჯით მიდიოდა, რომ მნახველი უნებურათ იტანჯებოდა ამ ხანგრძლივი აგონიის დანახვაზე, მიუხედავათ იმ დანაშაულობათა, რომელნიც დასჯილმა ჩაიდინა.

„მაგრამ, აი, როგორც იქნა დასჯილი მიიყვანეს სასჯელის ადგილას. იგი კედელთან დააყენეს და სანამ აფიცერი ჯარის კაცთ სასროლათ დააწყობდა, ერთმა მათგანმა, რასაკვირველია, უცოდინარობისა გამო, ჩახმახი გამოსწია, **მაგრამ თოფმა უმტყუნა**. იმავე წამში [illegible] [illegible] [illegible] ვარლენიც დეცა.

„ბაშინვე მიცვივდენ მასთან ჯარის კაცნი, რომელთაც კიდევ ცოცხალი ეგონათ და **თოფის კონდახებით** დაუწყეს უწყალოთ ცემა. „ხომ ხედავთ: მკვდარია, თავი დაანებეთ!“ უთხრათ აფიცერმა.

ასეთია მოთხრობა მტრისა, ერთი იმ გარეულ მხეცთაგანის, რომლებიც სიმხეცით დაეცნენ დამარცხებულ ხალხს და დასჯას ისე ესწრებოდენ, როგორც დღესასწაულს.

თუმცა ეს მოთხრობა განძრახ რბილათ არის გადმოცემული, მაინც ჯალათთა საზიზღარ სისასტიკეს და მათი მსხვერპლის გმირობას უკეთ გადმოგვცემს, ვიდრე ეს მთელ ტომებათ დაწერილ წიგნებს შეეძლო.

ეს ცოცხალი სურათია, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია.

ასეთი იყო ვარლენის ბოლო, რომელმაც თავისუფლების და სიმართლის სამსახურში წამებით დააგვირგვინა თავისი სიცოცხლე.

ასე დიდხანს მიტომ შევჩერდი ამ ორ სურათზე, რომ ეს ორნი სრულათ ხატვენ კომმუნალისტურ მოძრაობის ორსავე მხარეს, და შეიძლება მათ პარიზის კომმუნის ორი კუთხე უწოდოთ.

დელეკლიუზი—ეს ბურჟუაზიული იაკობინელია, რომელმაც დაივიწყა თავისი ჩამომავლობა, აღზრდა,

ინსტინქტები და კასტიური ტრადიციები, გახდა სოციალისტი, რომ ხალხს შეერთებოდა, და მასთან ერთათ წასულიყო სოციალურ თავისუფლების დასაპყრობათ.

ვარლენი,—ეს თვით ჭაბუკი ხალხია, რომელსაც აღუმართავს თავი, იპყრობს მეცნიერებას და გმირული გატაცებით მთლათ სოციალურ რევოლიუციას ხატავს. ის თავიდანვე მისი წარმომადგენელი, და მისი სისხლი და ხორცია.

პირველი ეუბნება კომმუნას: „შენ სიმართლე ხარ.“

მეორე აუწყებს გაკვირვებულ ქვეყანას: “ხალხი მზათაა!“

მაგრამ, ჩემს ხსოვნაში რამდენი სხვა სახელია შეკუნჭული, რომელნიც ასეთივე აპოთეოზის ღირსნი არიან; რამდენია კიდევ ისეთი პირები, რომელნიც განხორციელებაა ასეთივე ღრმა და ამაღლებულ აზრების, იმეორებდენ იმავე სიტყვებს, ამტკიცებდენ იმავ ჭეშმარიტებებს!...

ვის შეუძლია დაიმიწყოს
დიუვალი და ფლურანსი?

ერთი მათგანი ვარლენივით უბრალო მუშა იყო. მეორე კი ერთ მაღალხარისხოვან ნასწავლის,

პროფესორის, აკადემიკოსის და ინსტიტუტის წევრის— ფლურანსის შვილი იყო.

ორთავ ამათ იმავ საქმეს შესწირეს თავი; და ისინი მოუპოვებდენ მას გამარჯვებას, რომ სიმართლისათვის გმირული თავდადება საკმაო იყოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ეშმაკურ ორგანიზაციაზე გასამარჯვებლათ, იმ ჯადოსნურ სახელმწიფოს ორგანიზაციაზე რომელიც დარაჯობს პრივილეგიებსა და ექსპლოატაციას სიმართლის და ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

ისინი ორივე ახალგაზდები იყვნენ; ორივენი, როგორც დელეკლიუზი და ვარლენი, კომმუნის მოთავეები იყვენ. ორივენი სამს აპრილს წინ მიუძღოდენ რაზმებს, როცა უმაგალითო აღტაცების დროს პარიზმა დააყენა ფეხზე ორასი ათასი კაცი, რომლებსაც ტიერი მთელი საფრანგეთის თვალში ამცირებდა, კატორგიდან გამოქცეულ ავაზაკთა „ბრბოს“ სახელით.

გუსტავ ფლურანსი უკვე კაი ხნიდან იყო ცნობილი, როგორც იმპერიის მოწინააღმდეგე თავისი გაბედული ბრძოლით. როგორც რევოლიუციის რაინდი, იგი გაემგზავრა კანდიაში აჯანყებულ ბერძნებთან ერთათ ოსმალეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ. პარიზში დაბრუნების შემდეგ

ის ხელ-ახლა იწყებს ბრძოლას „მარსელიეზა“-ში*) და საჯარო კრებებზე. ალყის შემორტყმის დროს ის ბატალიონის კამანდირათ იყო დანიშნული და ოცდა თერთმეტ ოქტომბერს მან სცადა პარიჭის და რესპუბლიკის დახსნა. „სახალხო დაცვის მთავრობამ“, რომელიც მან თავისი სისუსტისა გამო შეიბრალა, დაატყვევა იგი მაზასში, საიდანაც ის ოცდა ერთს იანვარს გაანთავისუფლა ხალხმა.

ოთხს აპრილს ის უცაბედათ დაატყვევა ჟანდარმთა რაზმმა, რომელმაც ალყა შემოარტყა სახლს, სადაც მას რამდენიმე წუთს უნდა დაესვენებია. ის ცდილობდა თავი დაეცვა, მაგრამ ამაოთ:—ერთმა კაპიტანმა, სახელათ დემარტემ, ხმლის ერთი დარტყმით ისე გაუპო მას თავის ქალა, რომ იქიდან ტვინმა ამოასხა.

მისი გვამი ჩააგდეს კუბოში და ვერსალში გაგზავნეს; აქ მის სანახავათ მოდიოდენ ქალები, ეს „ძუ-ძაღლები“, როგორც მათ გულისწყრომით პოეტი უწოდებს, რომლებიც დარბოდენ დაჭრილთა სისხლის სალოკათ და „თავის აბრეშუმის ქოლგების დაჭრელებული ტარებით“ დატყვევებულთა ჭრილობების საჯიჯგნელათ.

---

*) ამ სახელწოდებით იმ ხანებში გამოდიოდა სოციალისტური გაზეთი.

მთარგ.

დიუვალი—ეს იყო ინტერნაციონალისტი—უბრალო ჩამომსხმელი. იგი სულ რამდენიმე დღე იყო კომმუნაში, სადაც მყისვე მიიქცია ყურადღება თავის ენერგიით, დინჯი მხნეობით და ვაჟკაცობით.

კრებებზე მე და იმას ერთათ გვიხდებოდა ჯდომა. ცოტა მინახავს იმაზე უფრო სიმპატიური ადამიანი, იშვიათათ შეეხვედრივარ ისეთებს, რომლების სახეზედაც ისე ცხადათ ყოფილიყოს გამოხატული დიდსულოვნება, კეთილშობილება და თავგანწირულება, როგორც დიუვალისაზე.

ის მხოლოთ იმიტომ მოევლინა კაცობრიობას, რომ ებრძოლა და მომკვდარიყო. მაგრამ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი, ვერ დაივიწყებს მას.

ის თავის რაზმითურთ დატყვევებულ იქმნა შატილონის მაღლობზე ენით გამოუთქმელი თავის დაცვის შემდეგ.

მას და მის რაზმს ალყა შემოარტყეს; ტყვიაწამალი აღარა აქვთ.

— დაგვნებდით და სიცოცხლეს გაჩუქებთ!— ეუბნებიან მათ ჯარების წინამძღოლ პელლეს სახელით.

ისინი ნებდებიან.

მყისვე ვერსალელები იჭერენ რეგულიარულ ჯარის კაცებს, რომელნიც ფედერალისტთა რაზმებში იბრძოდენ და იქვე ჟლეტენ მათ.

შემდეგში მარშალმა მაკ-მაგონმა შეიწყალა მარშალი ბაზენი, რომელიც მხოლოთ იმაში იყო დაბნაშავე, რომ მტერს გადასცა ქ. მეცი და თავისი ჯარი.

დანარჩენი ტყვეები ორ-წყება ჯარის კაცების მიერ გარშემორტყმულები გაგზავნეს ვერსალში. გზაზე მათ შეხვდათ ვინუა,სწორეთ ის, რომელმაც სიამოვნებით იკისრა ისეთი სამარცხვინო საქმე—პარიზის გაცემა.

ის ეკითხებათ: „ვინ არის აქ უფროსი?“

— მე ვარ,-წინ წამოწევით უპასუხებს დიუვალი.

მის შემდგომ მეორეც წამოიწევს წინ.

— მე დიუვალის შტაბის უფროსი ვარ,—ეუბნება იგი.

რაზმებიდან მესამე გამოდის.

— მე ვოლონტერების შტაბის უფროსი ვარ,—ეუბნება ის და პირველ ორთან ერთათ დგება.

— თქვე ძაღლის წიწილებო! ეუბნება მათ ვინუა,—ეხლავე ყველას ამოგხოცავთ.

დიუვალმა და ორმა მისმა ამხანაგმა არც კი აღირსეს მას პასუხი, თავისით მივიდენ კედელთან, გაიხადეს ფარაჯები და—გაუმარჯოს კომუნას! ძახილით დაეცნენ ტყვიით განგმირულები.

ისინი იყვნენ კომმუნის პირველი მოწამენი.

ვერსალელები ეხლა იწყებდენ იმ ბრძოლას,

რომელიც მთელი მცხოვრებლების ამოწყვეტით უნდა დასრულებულიყო.

ისინი იყვენ პირველნი და ყველაზე ბედნიერნიც. მოკვდენ გამარჯვების იმედით: ეს ხომ პირველი ბრძოლა იყო. თავის უკან მათ მრისხანე და ძლიერი პარიზი ეგულებოდათ.

მშვიდობით იძინეთ, მეგობრებო, რადვანაც თქვენ არ შემცდარხართ! მოვა დრო და სხვანი აღსდგებიან, რომ განაგრძონ ის საქმე, რომელსაც თქვენ ოქვენი სიყმაწვილე და სიცოცხლე შესწირეთ! მოვა დღე, დღე, როცა განთავისუფლებული ხალხი ხმამაღლა გაიხსენებს თქვენს სახელებს, რომელთა წარმოთქმა ეხლა ჩუმათაც არ ძალუძს, მაშინ იგი თავისი ძლიერი ხმით შესძახებს:

— **პატივი და მადლობა თქვენ პირველი ჟამის მოწამენო**!

ამათთან ერთათ წამებულთა დიდებულ პანტეონში ამოკრილი იქნება სახელი

ვერმოტრელისა.

ისიც ახალგაზდა კაცი იყო. დაიბადა 1841 წ. სახელი მან პუბლიცისტიკით გაითქვა.

მზგავსათ დელეკლიუზის და ფლურანისისა, **მან** აღიგავა მტვერი ფერხთაგან თვისთა და დასტო-

ვა ბურჟუაზიის ბანაკი, რომ მიეცა თავისი ხელი ხალხისათვის, ეცხოვრა, ეომნა, მომკვდარიყო მასთან და მისთვის.

ვერმორელი იეზუიტების სემინარიაში იზრდებოდა, და მან ყველაფერი სძლია, ასე გასინჯვე, თვით კლერიკალური აღზრდა და იეზუიტის მოამწამვლელი გავლენაც კი.

გაზეთ „საფრანგეთის კურიერის“ დაარსებით მან ერთმა პირველთაგანმა ამართა სოციალიზმის დროშა იმპერიის დროს.

ჯილდოთ მას ცილისწამება ხვდა. დიდიხნის განმავლობაში ის თვით რევოლიუციონურ პარტიაშიაც საეჭვო პირათ ითვლებოდა.

როცა ის კომმუნაში აირჩიეს, იმ დროს ის იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ იგი პირველ მოწვევაზედვე გამოცხადდა თავის ადგილას. მას არ ჰქონდა გამარჯვების იმედი და არც ილლიუზიებით იხიბლებოდა, მაგრამ ისე უფიქრელათ წავიდა იქით, საითაც მას პატიოსნება და საშიში მდგომარეობა იწვევდა.

იგი ჩქარა შეიქნა ერთი უმთავრეს ორატორთაგანი და მან გამოიჩინა დაუღალავი მოქმედება. ერთ კრებასაც არ უშვებდა დაუსწრებლათ ქალაქის რატუშაში, იღებდა მხნე მონაწილეობას თავის კომისიის მუშაობაში, როცა პირადად ვერ ესწრე-

ბოდა საქმის განხილვას, მაშინ იგი სწერდა. როცა საჭიროება მოითხოვდა, იგი მოწინავე რაზმებშიაც დადიოდა. ერთი სიტყვით, ყველგან იყო, სადაც გრძნობდა, რომ შეეძლო რაიმე სამსახურის გაწევა და სადაც ხედავდა, რომ იყო რამე გასაკეთებელი.

როცა ვერსალელები პარიზში შევიდენ, ეს ლიტერატორი, ეს ჟურნალისტი, რომელშიც ჯარის კაცის აჩრდილიც არა ყოფილა, რომლის წარსული ცხოვრებაც სულ—მეცნიერება და გონებრივი შრომა იყო, ეს კაცი ერბაშათ იცვლება, მონაწილეობას იღებს ბრძოლაში, დააქვს ფურგუნები, წევა ბრძანებების გადაცემ-გადმოცემას, ჩნდება ყველგან, სადაც მეტი გაჭირვება იყო, სადაც შესაძლებელი იყო, რომ ყოველ წამს სიცოცხლეს გამოსალმებოდა.

ბოლოს იგი ვარდება მიწაზე, ტყვიით განგმირული.

იგი მიაქვთ და ცდილობენ დამალონ, მაგრამ ნახავენ მას და გოსპიტალში მიაქვთ, სადაც ის ცოტა ხნის შემდეგ კვდება.

რაოდენი ტანჯვა-წვალება უნდა ყოფილიყო ასეთ პირობებში სულის ამოხდენა თავისიანების მოშორებულათ და ვერსალელ მეციხოვნეთა ყარაულებ ქვეშ, სწორეთ იმ დროს, როცა მთელი ქვე-

ყნის პირველი ქალაქი და ისტორიაში უკეთილ
შობილესი საქმე იღუპებოდა.

რამდენიმე საათის წინ, სანამ ვერმორელ
დაიჭრებოდა, მონმარტრთან იარაღის გადატანი
დროს, ფერრეს შეხვდა.

—ხედავთ, ფერრე—უთხრა მან გადაკვრი
ზოგიერთ სამწუხარო უთანხმოებაზე, — უმცირესობი
წევრნი თავის მოვალეობას ასრულებენ.

—უმრავლესობის წევრნიც თავისას ასრ
ლებენ! უპასუხა ფერრემ.

და ორთავ იგინი, რომელნიც უბრალო
უნდა დახოცილიყვნენ, შორდებიან ერთმანეთ
ასეთი ამაყი სიტყვებით.

მაგრამ კალამი მივარდება ხელიდან და სახ
ლები ისევ ისე ირევიან ჩემ ხსოვნაში.

ჩემთვის მეტათ სასურველი იყო ყველა მათ
მელაპარაკნა, მაგრა რა ვქნა, რომ მე არ შემ
ძლებოდა იმათი მარტო სახელების ჩამოთვლაც კ
მაინც, ვიტყვი კიდევ ერთზე—

ფ ე რ რ ე ზ ე.

ფერრე მე პირველათ გავიცანი პელაზის ცხ
ხეში, რომელშიაც ჩვენ ორთავე შეგვყარეს დეპ
პოტიური მთავრობის განკარგულებით.

შეუძლებელია დავიწყება მისი გაფითრებული, ამხდარი, ენერგიული აგებულებისა, მისი სახის, ომელსაც გრძელი პირამდი ჩაწვდენილი ცხვირი ‘უაზე ყოფდა, მისი ჩქარი და შავი თვალების ‘მუნვარე გამომეტყველებისა!

კომუნაში ის ი’ვიათათ იღებდა მონაწილეობას კამათში. პოლიციის საქმეებს ის განაგებდა ‘ერ რაულ რიგოსთან ერთათ, და შემდეგ მარტო.

ყოველთვის წყნარი, ჩვეულებრივათ ჩუმი, ამდენადმე გულცივი შეხედულობისა, ამ კაცს უსტ და გამხდარ სხეულში რკინის ბუნება და მირის სივაჟკაცე ჰქონდა.

იგი იყო მეტათ გრძნობიერი ბუნების კაცი, ‘ა იმავე დროს ღრმა დაკვირვებაც არ აკლდა, ომელიც თავისი თავ-დაჭერილი ენტუზიაზმით და ოუხეშავი ხასიათით მოგაგონებდათ მეთექვსმეტე აუკუნის იმ რეფორმატორებს, რომლე’იც თავის ‘ძღვრებას კოკონის ალშიკ კი იმეორებდენ.

სამხ’ედრო საბჭოს წინ, რომელმაც მას უდიერი ‘ეურაცხყოფით სიკვდილი მიუსაჯა, ის დიდებული ‘ამ იყო თავის გულცივი სიწყნარით და ჯალათთა ‘ამართ ზიზღით, რომელნიც გამარჯვებამ ამ ‘ამათ ‘ისამართლეებათ გადააქცია.

ერთი საათის წინ დასჯამდე, მან მისწერა მოკ-‘ე წერილი დას, რომელშიაც აღიარებდა თავის ‘ავს ატეისტათ და მატერიალისტათ.

თორმეტი კვირის განმავლობაში მის შემდეგ
რაც მას განაჩენი გამოუცხადეს, ის ყოველ წამ
სიკვდილს ელოდა!

ვერსალელები განგებ აგრძელებდენ დასჯილთ
სიკვდილის წინ წამებას და იმედოვნებდენ: ამი
შეევარყევთ მათ გმირულ სულსო.

მარსელელი გასტონ კრემიე დასჯილ იქმნ
ექვსი თვის შემდეგ, რაც მას სიკვდილი გადაუწყ
ვიტეს.

მაგრამ ჯალათნი მოტყუვდენ.

არც ერთს მათგანს თავისთვის არ უღალატნია
ყველა, როგორც ქუჩებში, ეგრეთვე სატორი
ბოძთან, როგორც უბრალონი, ეგრეთვე ბევრ
სახელ-განთქმულნიც, როგორც ბნელ ადგილას
ეგრეთვე **საჯაროთ**, **ყველანი** უშიშრათ და ქედ
მოუხრელად დაიხოცნენ.

ფერრეს, როგორც სხვებსაც, თავისი გოლგო
თა ჰქონდა.

მისი დედა სასოწარკვეთილების გამო ჭკუიდ
შეიშალა და მოკვდა.

მისი ძმა დამწყვდეული ყავდათ, ვერსალი
ერთ გალიაში, ვითარცა ჭკუაზე შემცდარი.

მამა მისი ტყვეთ იყო.

მისი ცხრამეტი წლის და დარჩა ამ საშინელ
მყუდროებაში, სადაც მუდმივ მკვდრები და შეშ

ილები ელანდებოდენ, ერთის მხრივ მიწამიყრილ ედის საფლავი იყო და მეორე მხრივ—ახალათ-ათხრილი ღია საფლავი რომელიც მის ძმას ლოდებოდა.

შეუბრალებელი, ამაყი, შეუდრეკელი, ღირსი ავისი ძმისა, რომელსაც სიკვდილი მოელოდა, ის ღე და ღამე მუდმივათ მუშაობდა, რომ თითონაც კხოვრა და დასჯილ ძმისთვისაც ყოველ კვირა ც-ოცი ფრანკი მიეტანა.

ბოლოს, ოც-და ხუთ ნოემბერს, დილის ექვს ათზე ფერრე სატორზე წაიყვანეს როსსელსა და ურჟუასთან ერთათ,—უკანასკნელი იყო ერთი ღა-ი ბი ჯარის კაცი. რომლის სახელიც საჭიროა კახსოვდეს.

მთლათ შავებში ჩაცმული, სიგარით პირში, ხით, რომელზედაც არც ერთი ნაოჭი არ მოჩან-ა, მძიმე და მხნე ნაბიჯით ის მიუახლოვდა ბოძს, ომელიც მისთვის იყო ღანიშნული, ადგა და ირისპირ დაუდგა სიკვდილს.

იგრიალ ს თოფებმა. როსსელი და ბურჟუა აეცნენ; ფერრე ფეხზედვე დარჩა.

მეორე თოფიც გავარდა,—იგიც დაეშვა.

ამ დროს ერთი ჯარის კაცი უახლოვდება მას, ებს ყურზე შასპოს კონდახს და თავში ესვრის.

იგი სამი სროლით მოკლეს.

ასეთი იყო ეს პირები! ასეთი იყო კომუნის ხალხი!

ჩვენ გავათავოთ ფერრეს მრისხანე სიტყვებით, რომლებიც მან წარმოსთქვა სამხედრო საბჭოში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მისი სიკვდილი „კანონის ძალით“...

ყოველგვარი ახსნა-განმარტება მხოლოთ შეასუხტებს იმათ მნიშვნელობას.

ეს არის გმირის ანდერძი.

ეს არის მასთან ერთათ წინასწარმეტყველება უკვდავ იდეის მომავალ აღდგომაზე, რომლის დახრჩობასაც მის დამცველები სისხლში ამაოთ ცდილობდენ.

„როგორც კომუნის წევრი, მე იმათ ხელში ვარ, ვინც მაზე გაიმარჯვა. მათ სურთ ჩემი თავი —ინებონ! მე არას დროს არ ვეცდები ჩემი თავი სიწუწკით დავიცვა. მე თავისუფლათ ვცხოვრობდი, ასეთივე მოვკვდები.“

„ერთს კიდევ დავძენ: ბედი ცვალებადია. მომავალს ვანდობ მზრუნველობას ჩემს ხსოვნასა და პატიოსნებაზე!“

მომავალიც შეასრულებს ამ ანდერძს!